

ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო - პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაცია

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დანართი 1. რეკვიზიტები
5. დანართი 2. ფასების ცხრილი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაციაწარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხო ენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დავალება

ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო - პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

ობიექტის დასახელება	პროექტის ძირითადი მოთხოვნები
<p>ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო - პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა</p>	<p>ა) ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო - პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. სახურავის შეცვლა. (შენობის სახურავის ბოძები იყოს ერთრიგად ან მიზანშეწონილია სახურავი მოეწყოს უსაყრდენოდ); შენობის კედლების ამაღლება, გამაგრება, შელესვა; სარტყელის მოწყობა; შენობის გარეთა პერიმეტრის მობეტონება 1,0 -1,5მ (ატმოსკა); ელექტროგაყვანილობის მოწყობა (სამი ფაზა); წყალი და კანალიზაციის მოწყობა; იატაკის მობეტონება (მოჭიმვა); სარემონტო ორმოს მოწყობა (1 ცალი); კარ- ფანჯრის მოწყობა; გაზგამტარი მილის კონფიგურაციის შეცვლა (რომელიც გადის შენობის გასწვრივ). ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდეს მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ 2015 წელს გამოცემული მეთოდური ცნობარი -ს, (მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ), მიხედვით. სამშენებლო რესურსების საბაზრო ან მშენებლობის შემფასებელთა კავშირის ფასთა კრებულით, მიმდინარე დონეზე. გ) სამუშაოს წარმოების გეგმა გრაფიკის თანდართვით. დ) სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენით (საინჟინრო და სახარჯთაღრიცხვო ექსპერტიზა). ე) ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება, 3 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით; ვ) პრეტენდენტმა სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ცალ-ცალკე 4 ეგზემპლარად (ალბომების სახით). ზ) პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგ საპროექტო დოკუმენტაციას და ნახაზებს: - ნახაზების უწყისი; - განმარტებითი ბარათი; - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;</p>

	<ul style="list-style-type: none"> - სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი; - ხარჯთაღრიცხვა. <p>თ) სრული საპროექტო დოკუმენტაციის ელ. ვერსია თვითოეულ პროექტზე (CD), (PDF ფორმატში, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა და მოცულობების უწყისი Excel- ფორმატში ი) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პროექტების განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.</p> <p>ი) მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილია დაიტოვოს სახელშეკრულებო ღირებულების 10 % და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მას შემდეგ, როდესაც დასრულდება ამ პროექტის მიხედვით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები (როდესაც გაფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი).</p>
--	---

3. მომსახურების მიწოდების ვადები

მომსახურების მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **30 სამუშაო დღე**.

4. მომსახურების ჩატარების ტექნიკური პირობები:

4.1 სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს მხოლოდ ლარებში, შეიცავდეს მომსახურების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე დღგ-ს.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება 10 სამუშაო დღეში, საპროექტო დოკუმენტაციის მიმღები კომისიის მიერ დოკუმენტაციის დადებითად შეფასების შემდეგ.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.4 გადახდის წინასწარი მექანიზმი არ გამოიყენება.

4.5 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის I პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

4.6 პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.7 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

4.8 პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული უზუსტობები უნდა წარმოადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში.

5. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები (როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის):

5.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი N1-ის და ფასების ცხრილი დანართი N2-ის მიხედვით.

თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ინვოისით, რომელიც დაადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი:

სოფიო მამისაშვილი ტელ: 2 51 26 96.

6.1 ტექნიკური დავალებასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია, ინფრასტრუქტურის განყოფილებაში, საკონტაქტო პირი:

ნუგზარ იმერლიშვილი ტელ: 2 24 47 21

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 20---წ.

ერთის მხრივ

მცხეთის მუნიციპალიტეტი _____

(შემდგომში `შემსყიდველი`)

და მეორეს მხრივ

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში `მიმწოდებელი`) შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების მომსახურება CPV 71200000 შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება`).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საერთო სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების შეცვლა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

მომსახურების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 სამუშაო დღე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის 3.5 პუნქტში მითითებული პირები).

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 ანგარიშსწორება მოხდება „მიმწოდებელსა“ და „შემსყიდველს“ შორის „მიღება-

ჩაბარების აქტის” გაფორმების შემდგომ.

6.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ განიხილება.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ` საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინააღმდეგარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,5 %-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების

- გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა არანაკლებ ერთი თვით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიწოდების ვადას.

20. სხვა პირობები

20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

20.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

დანართი N 1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის

დასახელება -----

№	მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ფასი (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადა (პერიოდი)
1	<p>ქ. მცხეთაში, თაყაიშვილის ქ. N13 -ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: ავტოსარემონტო - პროფილაქტიკა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა</p>		